საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 8069/4-12
„19" 06 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის ფიქრია ჩიხრაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 19 ივნისს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ფიქრია ჩიხრაძის განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. როგორც პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი აღნიშნული განცხადებიდან ირკვევა, ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძის გადაწყვეტილება განპირობებულია პოლიტიკური მოტივით.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს ფიქრია ჩიხრაძეს ვადამდე უნდა შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი